ხელშეკრულება N2507
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქუთაისი 25 ივლისი 2018 წელი

ერთი მხრივ, სსიპ - ეწერის საჯარო სკოლა წარმოდგენილი დირექტორის მარინე სარალიძეს სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორე მხრივ, სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა, წარმოდგენილი სკოლის დირექტორის ქეთევან მახარაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5. „მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.6. „მსმენელი" - პირი, რომელიც სწავლობს სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ტრენინგ კურსზე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია: სკოლის საქმისმწარმოებელი ნატო ნადირაძესათვის და დირექტორის მარინე სარალიძესათვის მოკლევადიანი (24 საათი) ტრენინგ კურსის ჩატარება - „საქმისწარმოება და ელექტრონული მმართველობა".

2.2. ტრენინგ კურსის თემატიკა:

- საქმისწარმოების ადმინისტრირება - საქმიანი ქაღალდების ძირითადი მახასიათებლები და მათ მომზადებაზე მუშაობის ზოგადი პრინციპები
- საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა, პროგრამის ზოგადი აღწერა, დოკუმენტების რეგისტრაცია პროგრამაში
- ოფიციალური მიმოწერისას გავრცელებული შეცდომები (ნაწილი I) - არსებითი სახელი
- ოფიციალური მიმოწერისას გავრცელებული - შეცდომები (ნაწილი II) - უცხოური წარმომავლობის სიტყვებისა და თავისებურ სახელთა ბრუნება, მათი მართლწერის საკითხები.
- სპეციალურ სიტყვებსა და გამოთქმებთან დაკავშირებული ნორმატიული საკითხები
- პროფესიულ ლექსიკაზე მუშაობა
- ოფიციალური მიმოწერისას გავრცელებული შეცდომები (ნაწილი III)-ზედსართავი სახელი
- ოფიციალური მიმოწერისას გავრცელებული შეცდომები (ნაწილი IV)-რიცხვითი სახელი
- განცხადება - ტიპები, მახასიათებლები, მომზადება
- ცნობა - ტიპები, მახასიათებლები, მომზადება
- ახსნა-განმარტება და მოხსენებითი ბარათი - ტიპები, მახასიათებლები, მომზადება
- დოკუმენტების ტიპები ავტომატიზებულ სისტემაში და მათი მომზადება
- პროფესიულ ლექსიკაზე მუშაობა
- ოფიციალური მიმოწერისას გავრცელებული შეცდომები (ნაწილი V)-ნაცვალსახელი
- ოფიციალური მიმოწერისას გავრცელებული შეცდომები (ნაწილი VI)-წარმოქმნილი სახელები

- ოფიციალური მიმოწერისას გავრცელებული შეცდომები (ნაწილი VII)-ზმნა
- ოფიციალური მიმოწერისას გავრცელებული შეცდომები (ნაწილი VII)-ზმნა
- ოქმისა და ბრძანების მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები
- პროფესიულ ლექსიკაზე მუშაობა
- ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები
- მახასიათებლების გაცნობა და მომზადებაზე მუშაობა
- დოკუმენტების მომზადება საკუთარი ინიციტივიათ ავტომატიზებულ სისტემაში
- საპასუხო წერილის მომზადება
- **ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგამა eflow-ში მუშაობა**
- **საქმიანი ქაღალდების ენა**
- **საქმიანი ქაღალდების მომზადება**
- შეჯამება
- საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა.
- შეჯამება.

2.3. კლასიფიკატორის კოდი: CPV80500000;

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 360 (სამასსამოცი) ლარს.

3.2. მომსახურების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდვლისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. **მიმწოდებელი** ვალდებულია უზრუნველყოს:

4.1.1. შემსყიდველისათვის მოკლევადიანი (24 საათი) ტრენინგ კურსის ჩატარება - საქმისწარმოება და ელექტრონული მმართველობა 2018 წლის 26, 27, 28, 29 ივლისს. სწავლის ხანგრძლივობა: 4 დღე; ტრენინგები ჩატარდება 10:00-დან 18:00-მდე.

4.1.2. მსმენელი სასწავლო პროგრამის თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი განათლებისა და უნარ - ჩვევების მიღების შესაძლებლობით;

4.1.3. ტრენინგ კურსის სპეციფიკით გათვალისწინებული შესაბამისი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემა.

4.2. **შემსყიდველი** ვალდებულია:

4.2.1. სასწავლო პროცესის დასასრულს უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების სრულად ანაზღაურება, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მსმენელი ვერ დაასრულებს სწავლების პროცესს;

4.2.2. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა: 2018 წლის 26, 27, 28, 29 ივლისს.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ჭიათურა, ნიკოპელის ქ. N14.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1.1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა ხელმოწერით.

6.1.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სკოლის დირექტორი;

6.1.3. მიმწოდებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სასწავლო პროგრამების სპეციალისტი ირინე გეგუჩაძე.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას განახორციელოს 3.1. პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების ღირებულების სრული გადახდა, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნული გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტის გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ასეთ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველ დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ასეთ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

9.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოსთხოვოს მხარეს ზიანის (პირგასამტეხლოს გათვალისწინებით) ანაზღაურება.

9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებები შესრულებისგან.

9.5. ამ მუხლის მიზნებისთვის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობად არ განიხილება ისეთი შემთხვევები, როდესაც მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, შემსყიდველი არ დაესწრება სასწავლო პროგრამას, ვერ დააკმაყოფილებს სასწავლო პროგრამის მოთხოვნებსა და ვერ მიიღებს შესაბამისი სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელ სერტიფიკატს.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი დავა წყდება ურთანხმების გზით.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან.

12.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 1 სექტემბრის ჩათვლით.

14. ფორს-მაჟორი

14.1. ამ მუხლის მიზნებისთვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდვლის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით.

14.2. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების ან მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. სხვა პირობები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე - შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	*მიმწოდებელი*
სსიპ - ეწერის საჯარო სკოლა	სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის
მის: ჭიათურა, სოფ.ეწერი.	სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა
ს/კოდი 215606422	ს.კ.: 212852055
სს ლიბერთი ბანკი	მისამართი: ქუთაისი, ნიკეას ქ. N13
ბ/კოდი: LBRTGE22	ხაზინის ერთიანი ანგარიში
ა/ა: GE85LB0121181956526000	ბანკის კოდი: TRESGE22
	ა/ნ: 7 0769 7119
დირექტორი:	დირექტორი:
მარინე სარალიძე	ქეთევან მახარაშვილი